საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11411/01
04/12/2020

11411-01-2-202012041509

ინდივიდუალურ მეწარმე ირაკლი ნიშნიანიძეს (პ/ნ 41001008153)
მის: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 18 ნოემბრის N 17965 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე არხის მდებარეობა (ჩაშვების წერტილის კოორდინატი), ასევე მფლობელის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 84 მეტრში მდებარეობს ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე მდინარე წყალწითელას ხეობა. დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის შედეგად წყალწითელას ხეობაზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას წყლის ობიექტის მდგომარეობაზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილია თუ არა ჩამდინარე წყლების მდინარე წყალწითელაში ჩაშვება და

საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციისას ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების საკითხები;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან 25 მეტრში მდებარეობს სოფლის ამბულატორია. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობა დაშორებულია დაახლოებით 17 მეტრით, შესაბამისად, მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან სოფლის ამბულატორიამდე საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაახლოებით 13 მეტრში, ხოლო აღმოსავლეთით დაახლოებით 11 მეტრში ფიქსირდება ფიზიკურ პირებზე რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ 39.07.28.018 და ს/კ 39.07.28.071), რომლებზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობები. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგებისთვის მოეწყობა მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომელზეც არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროა შესაბამისი ლიცენზია. დაზუსტებას საჭიროებს, დაგეგმილი ჭის მდებარეობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე დაწყებულია ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა/მოწყობა. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ამჟამინდელი მდგომარეობა, იმის გათვალისწინებით თუ რა სამუშაოებია უკვე განხორციელებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე